დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 25 აპრილი**

დისციპლინური საქმე №60/23
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2023 წლის 27 მარტის №60 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 27 მარტის №188/60-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ გააჭიანურა საქმის განხილვა.

1.2. საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებების კანონიერებას. კერძოდ, იგი აცხადებს, რომ სასამართლომ ორჯერ უკანონოდ უთხრა უარი საქმის წარმოებაში მიღებაზე და უსაფუძვლოდ შეაჩერა საქმის წარმოება.

ამასთან, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ -- საქალაქო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსმა დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები და მის მიერ წარდგენილი განცხადება არ გადააგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- 2021 წლის 29 ოქტომბერს სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების - -- -- და -- -- მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. 2021 წლის 3 ნოემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

2.2. -- -- 2021 წლის 17 ნოემბერს სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების - -- -- და -- -- მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. 2021 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 1 თებერვალს მოპასუხე მხარემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში. 2022 წლის 25 თებერვალს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

2.3. 2022 წლის 17 მარტს მოსარჩელე მხარემ -- საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 25 თებერვლის განჩინების გაუქმების მოთხოვნით კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

2022 წლის 18 აპრილს -- სააპელაციო სასამართლომ მიიღო განჩინება კერძო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ. კერძოდ, გაუქმდა -- საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 25 თებერვლის განჩინება და სარჩელი, საქმის მომზადების საპროცესო ეტაპიდან, დაუბრუნდა -- საქალაქო სასამართლოს განსახილველად.

2.4. -- საქალაქო სასამართლოს მიერ სასამართლო სხდომები გაიმართა 2022 წლის 29 ნოემბერს და 13 დეკემბერს. 2022 წლის 13 დეკემბერს სასამართლომ მიიღო განკარგულება -- -- სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას წესრიგის დარღვევისათვის დაჯარიმებისა და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ.

2022 წლის 13 დეკემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ. კერძოდ, სამოქალაქო საქმეზე №-- წარმოება შეჩერდა, -- საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული ადმინისტრაციული საქმის №-- განხილვამდე.

2.5. -- საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 დეკემბრის განკარგულების გასაჩივრების მიზნით -- -- საჩივარი წარადგინა სასამართლოში. 2023 წლის 12 იანვარს -- სააპელაციო სასამართლოს განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2022 წლის 28 დეკემბერს -- -- საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 დეკემბრის განჩინების გასაჩივრების მიზნით, კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში. 2023 წლის 21 თებერვალს -- სააპელაციო სასამართლომ მიიღო განჩინება კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის

თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლი ადგენს სასამართლოში წარსადგენი სარჩელის შინაარსს. ამასთან, მითითებული კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ: სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არსებობს მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების საფუძველი.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი წარდგენილი იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირობების დარღვევით, კერძოდ, სარჩელში მოსარჩელეს გარკვევით და კონკრეტულად არ ჰქონდა მითითებული თუ ვინ წარმოადგენდა მოპასუხეს. ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სარჩელი არ აკმაყოფილებდა დასაშვებობის პირობებს იგი არ იქნა მიღებული განსახილველად. ამასთან, სასამართლომ მხარეს განუმარტა, რომ სარჩელში არსებული ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში მოსარჩელეს კვლავ შეეძლო მიემართა სასამართლოსთვის.

სასამართლოს მიერ მითითებული ხარვეზის გამოსწორების შემდგომ, მხარემ კვლავ წარადგინა სარჩელი სასამართლოში. თუმცა, 2022 წლის 25 თებერვლის განჩინებით მოსარჩელის სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული. განჩინების მიღებისას სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით რომლის თანახმადაც, სასამართლო მხარის განცხადებით ან საკუთარი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ მოპასუხე ამ კოდექსის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ვადაში არ წარმოადგენს მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტს, ან შუამდგომლობას მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარების შესახებ. ვინაიდან, მოსარჩელემ არ წარადგინა მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი

და არც სასამართლო გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარების შესახებ შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსთვის, აღნიშნული გარემოება მოსამართლის შეფასებით სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ სასამართლოს განჩინება მხარემ გაასაჩივრა კერძო საჩივრით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია საპროცესო ნორმათა მოთხოვნები, რადგან არ არსებობდა სარჩელის განუხილველად დატოვების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები. ამდენად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს. საგულისხმოა, რომ დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით, მხარემ გამოიყენა საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლება და ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა. ამდენად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. შესაბამისად, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

რაც შეეხება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ მოსამართლის მიერ მიღებულ განჩინებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლი დეტალურად განსაზღვრავს საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლებს. კერძოდ, მითითებული მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

მოცემულ საქმეზე მოსამართლემ იხელმძღვანელა საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად და მიიღო განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, ვინაიდან მიიჩნია, რომ სხვა ადმინისტრაციულ საქმეს, რომელიც იმავე სასამართლოს წარმოებაში იყო და განსახილველ საქმეს შორის არსებობდა ურთიერთკავშირი და ისინი ერთი და იგივე ფაქტობრივი საფუძვლებიდან გამომდინარეობდნენ, რაც საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, საქმის წარმოების სავალდებულო წესით შეჩერების საფუძველს წარმოადგენს.

ამდენად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი განჩინების კანონიერების შემოწმებას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

ამასთან, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ -- საქალაქო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსმა დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები და მის მიერ წარდგენილი განცხადება არ გადააგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში. საგულისხმოა, რომ საჩივრის ავტორის მიერ მითითებული პირი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტს, რომლის მიმართაც დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია განახორციელოს დისციპლინური სამართალწარმოება. ამდენად, დამოუკიდებელი ინსპექტორი მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსის მოქმედებების კანონიერებასთან დაკავშირებით წარდგენილ საჩივარზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შეწყდეს -- -- №60 საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2. პუნქტი).

2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №60/23 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1. პუნქტი).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი